

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

კოლაუ ნადირაძე “25 თებერვალი, 1921 წელი”

პედაგოგი - მაია აფშილავა

სკოლა - იტალიური სკოლა „ცისკარი“

გაკვეთილის თემა: კოლაუ ნადირაძე “25 თებერვალი, 1921 წელი”

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი: მეცხრე

მიზანი: მოსწავლემ უნდა შეძლოს ლიტერატურული ნაწარმოებებიდან და მედიარესურსებიდან მიღებული ინფორმაციის დახარისხება და გააზრება, გამოავლინოს კრიტიკული აზროვნების უნარი წინააღმდეგობრივი მოვლენების შეფასებისას, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება წამოჭრილი საკითხის მიმართ და შეძლოს დასკვნის გამოტანა.

მედიაწიგნიერების მიზნები:

მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;

ესგ-სთან შესაბამისობა

ქართ. IX 1

ქართ. IX 6

გამოყენებული აქტივობები:

1. გონებრივი იერიში
2. ჯგუფური მუშაობა
3. დისკუსია
4. სქემები
5. ესე

წინარე ცოდნა: მოსწავლეები იცნობენ “ცისფერყანწელთა” ლიტერატურულ კორპორაციას და მის ერთ-ერთ წევრს, კოლაუ ნადირაძეს. წინამდებარე გაკვეთილზე მედიარესურსის გამოყენებით მზადდება საფუძველი ახალი მასალისთვის - კოლაუ ნადირაძის ლექსი: “25 თებერვალი, 1921 წელი”.

ლექსიკონი

თაღხი, გრდემლი, გოღგოთა, ტოტალიტარიზმი, ტირანია, მენშევიკები, ბოლშევიკები, იუნკრები

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა



ფოტოზე ასახულია გაზეთი „კომუნისტის“ პირველი ფურცელი, წითელი ფერით, ლენინისა და სტალინის სურათებით გაფორმებული, სადღესასწაულო განწყობის მაუწყებელი, გაზეთშიც შესაბამისი მასალაა გამოქვეყნებული. მასწავლებელი მათგან ირჩევს საბჭოთა საქართველოს სადიდებელ ლექსსა და სტატიას.

აქტივობა I – კითხვის აქტივობა

მოსწავლეებს ურიგდებათ 1941 წლის გაზეთ „კომუნისტიდან“ ამოღებული სტატია „ხვალ საბჭოთა საქართველოს XX წლისთავია“ და სანდრო ეულის ლექსი „სადღეგრძელო“

ტექსტებს ვკითხულობთ ჯგუფურად. ამის შემდეგ მასწავლებელი ორ ნაწილად ჰყოფს ჯგუფს, ურიგებს წინასწარ შედგენილ კითხვარს, რომლის დახმარებითაც მათ უნდა გაიაზრონ წინამდებარე ლექსი და სტატია

სანდრო ეული

სადღეგრძელო

საქართველოს ოცი წლისთავისთვის

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

აავსეთ ბროლის ჭიქები
 ლალისფერ ღვინით,
 ბრძოლის დროს ბრძოლა გეჩვევია, –
 ლხინის დროს – ლხინი.
 გული აღგვიგზნო სიამემ
 ტანჯვის მაგიერ,
 მაშ ჩვენებურად დავსჯექოთ
 მრავალჟამიერ
 ჩვენი პირველი სადღეგრძელო
 ეკუთვნის იმას,
 ვინც გადაურჩა მრავალი გზით
 ტყვიების წვიმას
 ვინც მრავალ ერთა ბედნიერი
 შექმნა სამყარო,
 ვინც წინ მიუძღვის მილიონებს
 რომ გაახაროს,
 ვინც მოგვანიჭა ნეტარება
 ტანჯვის მაგიერ,
 მაშ, ჩვენს დიდ ბელადს
 დღეგრძელობა
 მრავალჟამიერ.

ეს სადღეგრძელო იყოს ჩვენი
 მშრომელი ხალხის,
 ვინც გმირობის და ხალხთა ძმობის
 დროშას არ დახრის,
 ვინც საქართველოს მტერი ბევრჯერ
 მოიგერია,
 ვინც გაუზარდა დიდ სამშობლოს
 ჩვენი ბერია, –
 ვინც დარგო ჩვენში სიხარული
 ტანჯვის მაგიერ,
 სიცოცხლე იმას, დღეგრძელობა,
 მრავალჟამიერ.
 აავსეთ ბროლის ჭიქები
 ლალისფერ ღვინით,
 ბრძოლის დროს ბრძოლა გეჩვევია, –
 ლხინის დროს – ლხინი.
 გული აღგვიგზნო სიამემ
 ტანჯვის მაგიერ,
 მაშ ჩვენებურად დავსჯექოთ
 მრავალჟამიერ

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რა გრძნობამ შეიძლება დააჯექინოს ქართველს “მრავალჟამიერი”?	მრავალჟამიერი” ქართველთათვის თავმოსაწონებელი სიმღერაა, მქუხარე, ხერხემალმაგარი, ერთობით გამოსატქმელი. “მრავალჟამიერი” გამარჯვების სიმღერაა, გამარჯვება კი შეუძლებელია იქ, სადაც არ არის თავისუფლების განცდა.
ვის ეკუთვნის პირველი სადღეგრძელო?	პირველი სადღეგრძელო ეკუთვნის იმას, ვინც გადაურჩა ტყვიების წვიმას, ვინც ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა ერებს, ვინც ტანჯვისგან დაგვიხსნა და მოგვანიჭა ნეტარება.

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

ვინ არის მილიონების დიდი ბელადი?	სტალინი
ვის ეძღვნება მეორე სადღეგრძელო?	მეორე სადღეგრძელო ეკუთვნის მშრომელ ხალხს, რომელსაც აღმართული აქვს “ხალხთა ძმობის დროშა”
როგორ გესმით “ხალხთა ძმობის დროშა”?	“ხალხთა ძმობის დროშა” უნდა იყოს კომუნისტური წითელი დროშა, რომლის ქვეშ გაერთიანებული იყვნენ საბჭოთა ქვეყნების ერები
მშობელი ხალხის დამსახურებათა შორის რაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი?	ქართველმა ხალხმა “დიდ სამშობლოს” გაუზარდა ბერია.
რა ქვეყანას მოიაზრებს ლექსის ავტორი “დიდ ქვეყანაში”?	ლექსის საერთო განწყობის გათვალისწინებით “დიდ ქვეყანაში” ავტორი უნდა გულისმობდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს და არა იმ ხალხის სამშობლოს, ვინც მღერის “მრავალუამიერს”
როგორ ფიქრობთ, რა არის ლექსის მთავარი მიზანი?	ლექსის მთავარი მიზანია ლიდერების განდიდება.

გაზეთი „კომუნისტი“

ხვალ საბჭოთა საქართველოს XX წლისთავია

ხვალ, 25 თებერვალს ოცი წლის ხდება საბჭოთა საქართველო, ჩვენი ღვიძლი ქვეყანა, აკვნის მრწეველი სამშობლო.

“სამშობლო, დედის ძეგლი, არ გაიცვლების სხვაზედა” ასეთი იყო ღალი ხევსურის სიყვარული თავისი მამულისადმი, სალი კლდეებისადმი, რომელიც მას ყველაფერს ერჩია, საკუთარ გულის ვარდად მიაჩნდა. იგი სუნთქვა და სისხლის მიმოქცევა იყო მისთვის. ეს არის უმჩქეფარესი გრძნობის სათავე, შთაგონების ანკარა წყარო, მისწრაფებათა ნავსაყუდელი, ოცნება, ნატვრა, ყველაფერი... ეს არის სიმბოლო, რისთვისაც ცოცხლობ, აზროვნებ, მოქმედებ, იბრძვი, რომ ყველა ადამიანი, ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი იდგეს მისი ღიდეების, მისი ბედნიერი ცხოვრების საგუშაგოზე.

სამშობლო!

ტკბილია თვითონ ეს სიტყვა, მაგრამ რა გულდამწვარი, ნაღვლიანი, მწუხრით მოცული იყო ქართველთა სამშობლო საუკუნეთა მანძილზე, ნისლი ეფარა, ბურუსი მოსავდა მის ბედს, მტრები ესხმოდნენ, ხმლით ფატრავდნენ მის მკერდს. საბჭოთა საქართველო!

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

ოცი წლის ვაჟი ბევრი უმღერის, მაგრამ სალამურადაც რომ იქცეს ჩვენი სამშობლოს ყველა ღერწამი, მაინც ვერ გადმოსცემს აღტაცების იმ სიმფონიას, რომელსაც გვასმენს დღეს სიხარულით დიდი სტალინის მშობელი ქვეყანა. საბჭოთა საქართველო!

გაზაფხულია, ჩვენი სამშობლოს მეოცე გაზაფხულია. მთის მწვერვალები თოვლს დაუფარავს, მის კალთებზე კი კვლავ მწვანე ფერი ბიბინებს, ბუნებაც გულგახსნილია. მზის სხივებს აკაშკაშებს ხალხის ზეიმის შესახვედრად. ოცი წლისაა ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკა.

ისტორიის ფურცლებს ჩაბარდა ის დრო, როცა ჩვენი წინაპრები, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მთებისა და მდელოს აყვავებით დაღონებულნი, სამშობლოს შესტიროდნენ: “მამულო საყვარელო, შენ როდისა აყვავდები”. ესლა კი მთებსა და მდელოსთან ერთად თვითონ მთელი ქართველი ხალხი აყვავებულა და ბედნიერებით აელვარებს სტალინურ დროშას კომუნიზმისკენ მიმავალ გზაზე.

უჩვეულო, არნახულ გამარჯვებას მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით. მისი წინსვლა და წარმატებანი განუყრელად დაკავშირებულია ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის, ამხანაგ ბერიას სახელთან. კომკავშირი-კომუნისტური პარტიის ეს პირმშო- მუდამ იბრძოდა და იბრძოლებს ამ წარმატებათა გასამრავლებლად, სტალინური დროშის ქვეშ დარაზმული საბჭოთა ხალხების ბედნიერი ცხოვრების დასაცავად.

ხვალ 25 თებერვალია.

მილიონთა ზღვა სიხარულით, ალისფერი დროშებით, გმირული სიმღერებით მოედება ქუჩებსა და მოედნებს ბედნიერი ქართველი ხალხი. იზეიმებს მთელი ქვეყანა, რომ ისევ უდიდესი მადლობა, უსაზღვრო სიყვარული გამოთქვას ჩვენი გულისა და დროშისადმი – მშობლიური სტალინისადმი.

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რა დღეს ეძღვნება წინამდებარე წერილი?	წერილი ეძღვნება საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავის
რად მოიხსენიებს ავტორი საქართველოს?	ღვიძლ ქვეყნად, აკვნის მრწველ სამშობლოდ, შთაგონების ანკარა წყაროდ
როგორ აფასებს ის საქართველოს წარსულს?	წარსულში საქართველო იყო მწუხარებით მოცული, ბურუსში გახვეული
იყო თუ არა, ავტორის შენიშვნით, საქართველოს წარსული ერთგვაროვანი?	იყო დიდების დღეები, მაგრამ ხანმოკლე და სწრაფმავალი

მაია აფშილავა

იყო მეტი წარმატება თუ წარუმატებლობა?!	
ეურადლება მიაქციეთ ადრესატის მიმართვის ფორმებს, დააკვირდით საქართველოს წარსულით ამაყობს ავტორი თუ აწმყოთი?	ავტორს არ ეტყობა საქართველოს წარსულით აღფრთოვანება, იქ გაცილებით მეტი იყო წუხილი, ვიდრე ბედნიერი ცხოვრება. მისი, როგორც მამულიშვილის, ყველა მოლოდინი გაამართლა საბჭოთა საქართველომ.
კმაყოფილია თუ არა წერილის ავტორი აწმყოთი და რა განაპირობებს მის კმაყოფილებას	ავტორის აზრით, საქართველომ მიაღწია არნახულ გამარჯვებას, აყვავდა ილიას სათაყვანებელი სამშობლო და ეს მოხდა კომუნიზმის დამსახურებით
ვის უნდა ვუმაღლოდეთ ესოდენ ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრებისთვის?	წინსვლა და წარმატებანი განუყრელად დაკავშირებულია ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სტალინისა და მისი საუკეთესო თანამებრძოლის, ამხანაგ ბერიას სახელთან.
რომელ ორ დიდ ქართველს იხსენიებს ერთმანეთის გვერდიგვერდ ავტორი, რა აქვთ მათ საერთო?	გაკვირვებას იწვევს წინამდებარე წერილში ილიასა და სტალინის გვერდიგვერდ მოხსენიება, რადგან მათ, გარდა ქართველობისა, არაფერი აქვთ საერთო.
რა ენატრებოდა ილიას სათაყვანაბელ მამულში? როგორ წარმოედგინა მას საყვარელი მამულის “აყვავება”?	მამულის აყვავებაში, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ თავისუფლებას გულისხმობდა ილია.
კონკრეტულად ვის მიმართ გამოთქვამს მაღლიერებას სტატიის ავტორი, არის თუ არა იგი გულწრფელი? პასუხი დაასაბუთეთ;	სტატიის ავტორი სამშობლოს წარმატებებს უმაღლის ორ ქართველს: სტალინსა და ბერიას.
რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სამშობლოს ბედნიერებას კონკრეტულ ადამიანებს უმაღლის სტატიის ავტორი? მისაღებია თუ არა თქვენთვის პირის ასეთი განდიდება?	ქვეყნის ბედნიერება არ შეიძლება მიეწეროს ერთ ადამიანს, ასეთი განდიდება არასდროს არის გულწრფელი და ეს დამოკიდებულია მიგვანიშნებს ტოტალიტარული რეჟიმის არსებობაზე

აქტივობა III – პრეზენტაცია დისკუსიის ფონზე

თითო ჯგუფიდან ირჩევა თითო წარმდგენი, რომელიც გააანალიზებს ტექსტს, საკუთარ თვალსაზრისებს დაასაბუთებს არგუმენტებით;

ლექსის მიმოხილვის სავარაუდო ვერსია:

ლექსის სათაური გვიქმნის სადღესასწაულო განწყობას, სადღევრძელოები წარმოითქმება “მრავალუამიერის” ფონზე. პირველი სადღევრძელოს ადრესატი არის დიდი ბელადი. ლექსში ხაზგასმულია მისი ღვაწლი არა კონკრეტულად ქართველების,

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

არამედ მრავალი ერის წინაშე, ის მილიონების წინამძღოლია და მისი წყალობით ტანჯვა შეიცვალა ნეტარი ცხოვრებით. მეორე სადღეგრძელო მშრომელ (ყურადღება მიაქციეთ, მშრომელ და არა მშობელ) ხალხს ეკუთვნის იმ დამსახურებისთვის, რომ მან “დიდ სამშობლოს” გაუზარდა “ჩვენი ბერია”. ცხადია, ლექსის ავტორი “დიდ სამშობლოში” მოიაზრებს არა მშობლიურ ქვეყანას, არამედ საბჭოთა კავშირს. პოეტი სანდრო ეული ბერიას მრავალჯამიერ სიცოცხლესა და დღეგრძელობას ნატრობს. ცხადია, რომ ლექსის მთავარი მიზანია ლიდერების განდიდება და მათი ღვაწლის წარმოჩენა.

წერილის მიმოხილვის საგარაუდო ვერსია:

წერილი ეძღვნება საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავს. ავტორი სამშობლოს უწოდებს “ღვიძლ” ქვეყანას, “აკენის მრწველ სამშობლოს”, არ იშურებს მისთვის საქებარ სიტყვებს, ცდილობს საკუთარი ემოციების გაზიარებასაც მკითხველისთვის, მაგრამ რატომღაც მისი სიტყვები არ ზემოქმედებს ჩვენზე, მიზეზი კი ამისა, სიყალბეა. ავტორი მიმართავს სამშობლოს, მაგრამ სათქმელის განვითარების შესაბამისად ცვლის მიმართვის ფორმებსაც: “სამშობლო”, “საქართველო” და “საბჭოთა საქართველო”. აშკარაა, რომ იგი ამაყობს მხოლოდ აწმყოთი, რადგან წარსულის დიდების ღვებები “ხანმოკლე იყო და სწრაფმავალი”. საბჭოთა საქართველო 20 წლის ვაჟკაცია და იგი დიდი სტალინის დამსახურებითაა ესოდენ ბედნიერი და უზრუნველი. წერილის კულმინაციაა ილიასა და სტალინის გვერდიგვერდ მოხსენიება. ილიას სიტყვებით, ჩვენი წინაპრები შესტიროდნენ სამშობლოს, “მამულო საყვარელო, შენ როსდა აყვავდებიო”. ჩვენთვის არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რომ მამულის აყვავებაში ეროვნულ თავისუფლებას გულისხმობდა ილია, წერილის ავტორისთვის კი სწორედ ეროვნული თავისუფლების ხელყოფით დაიწყო ჩვენი სამშობლო აყვავება, ახლა ქართველი ხალხის ოცნება, სტალინური დროშის ქვეშ გამთლიანებული ქვეყანა შეუდგა კომუნიზმისკენ მიმავალ გზას. ჩვენი ქვეყნის არნახული გამარჯვება და წარმატებები დაკავშირებულია დიდი სტალინის და მისი საუკეთესო თანაბერძოლის ბერიას სახელთან.

ვიდეოს ჩვენება

მასწავლებელი აჩვენებს საქართველოს გასაბჭოების აღსანიშნავად გამართულ სადღესასწაულო დემონსტრაციას. ვიდეო პრეზენტაცია არის პოზიტიური, კადრში აღბეჭდილია უამრავი ადამიანის ბედნიერი სახე. ვიდეო კადრში ასახულია საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავისთვის ორგანიზებული დღესასწაული. ამ დღის აღსანიშნავად თბილისს ესტუმრა უამრავი საპატიო სტუმარი, მათ შორის ლეონიდ ბრეჟნევი.

<https://www.youtube.com/watch?v=x6HLdBmrUGE&feature=youtu.be>

კითხვა: რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ წინამდებარე მედიაარესურსების გათვალისწინებით?

საგარაუდო პასუხი: ქართული საზოგადოება აღფრთოვანებითა და სიხარულით ხვდება 25 თებერვალს, სახეიმოდ აღნიშნავს საქართველოს გასაბჭოების დღეს.

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

აქტივობა IV – შედარებითი ანალიზი

სტატიისა და ლექსის განხილვის შემდეგ მასწავლებელი ითხოვს სამი საერთო ნიშნის გამოკვეთას:

კითხვა: რა საერთო ნიშნებს გამოკვეთდით ლექსსა და სტატიაში?

სავარაუდო პასუხები:

1. ორივე ეძღვნება 25 თებერვალს;
2. ავტორები გამოთქვამენ აწმყოთი კმაყოფილებას
3. განადიდებენ კერძო პირებს: დიდ ბელადსა და ამხანაგ ბერიას.

შემაჯამებელი კითხვა: როგორი რეჟიმისთვისაა დამახასიათებელი კერძო პირის განდიდება და აწმყოთი კმაყოფილება?

სავარაუდო პასუხი:

ტოტალიტარული რეჟიმი ქადაგებს აწმყოთი კმაყოფილებას, ამ დროს საზოგადოება განადიდებს ცალკეულ პიროვნებებს და მათ მიაწერს ყოველგვარ სიკეთეს. ამ რეჟიმის პირობებში არ არსებობს განსხვავებული აზრი, განწყობა და თუ არსებობს, ის ჩანასახშივე ნადგურდება. ტოტალიტარული რეჟიმი საზოგადოებაში ნერგავს შიშს, უნდობლობას. ადამიანები არ რეაგირებენ ერთეულთა გასაჭირზე, ერი დათითოკაცებულია. ასეთ საზოგადოებაში ვერავინ გადაირჩენს თავს, გასაჭირი ყველას სათითაოდ მიაღება კარზე და მხოლოდ მაშინ გახდება საცნაური პრობლემა.

II გაკვეთილი

აქტივობა V

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ქართველი იუნკრების შესახებ:

1919 წელს თბილისში დაარსდა ქართული სამხედრო სკოლა, იუნკერთა სასწავლებელი, რომელმაც ორი ნაკადის გამოშვებაც კი ვერ მოასწრო. ახალგაზრდებს არ ჰქონდათ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის არავითარი გამოცდილება, მაგრამ 1921 წელს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობას რეალური საფრთხე დაემუქრა, ისინიც გაიწვიეს ფრონტზე. მთელმა ქალაქმა შეიტყო, რომ სკოლა მიდიოდა საბრძოლველად, მიდიოდნენ სიმღერით და მათ აცილებდა თბილისი.

კოჯორ-ტაბახმელას გეოგრაფიული არეალი იყო უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული წერტილი რუსებისთვის, რადგან აქედან გაადვილდებოდა თბილისის დაბომბვა. ახალგაზრდა იუნკრებმა დაიკავეს კოჯორსა და ტაბახმელას შორის 7 კილომეტრიანი მონაკვეთი და საარაკო წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. 300 იუნკერი ებრძოდა წითელ არმიას, მართალია, საქართველო დამარცხდა, მაგრამ იუნკერებს არ წაუგიათ ბრძოლა. გამოცდილი პედაგოგების წყალობით მათ წარმატებით მოიგერიეს წითელი არმიის შემოტევები.

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

1921 წლის თებერვლის ბრძოლებში დაეცა 120 იუნკერი. ისინი დიდი პატივით დაკრძალეს სამხედრო ტაძრის ეზოში 7 მარტს, უკვე ოკუპირებულ თბილისში. გადარჩენილმა იუნკერებმა ემიგრაციით უშველეს თავს. ისინი მიიღო პოლონეთმა და ღირსეული მფარველობაც გაუწია მათ.

აქტივობა VI

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოს ქართველი იუნკერების შესახებ, რომლებიც 1921 წლის თებერვლის დღეებში გმირულად დაეცნენ წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ვიდეო შეუქმნის მათ განსხვავებულ წარმოდგენას საქართველოს გასაბჭოებაზე. აქ დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ დაიგეგმა რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია. ვიდეო არის ისტორიული წყარო და მასწავლებელი მას იყენებს ისტორიული კონტექსტის გასათვალისწინებლად.

<https://www.youtube.com/watch?v=Cft6YAspYlc>

მასწავლებელი კითხვებით ამოწმებს, რამდენად გაიაზრეს ბავშვებმა ვიდეო ინფორმაცია.

საქართველოს ისტორიის რომელ ეპიზოდზეა საუბარი ვიდეოში?	1921 წლის თებერვალი
რომელი პარტია იდგა დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში?	საქართველოს მართავდა მენშევიკური პარტია ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით
რა იყო რუსების საქართველოში შემოჭრის მოტივაცია? ან რით უნდა ახსნილიყო რუსეთის მხრიდან საქართველოს დაპყრობა?	ლენინის მიერ შემუშავდა სტრატეგიული გეგმა, რომლის თანახმადაც შულავერის კომიტეტის მიერ ხელოვნურად ორგანიზებული მანიფესტაცია უნდა გადაზრდილიყო მასობრივ არეულობასა და ამბოხებაში. ამბოხებულთა დასახმარებლად რამდენიმე მიმართულებით საქართველოში უნდა შემოჭრილიყო რუსული არმია
ჰქონდა თუ არა საქართველოს შესაბამისი სამხედრო რესურსი, რომ წინააღმდეგობა გაეწია მე-9 და მე-11 რუსული არმიისთვის?	საქართველოს ჰქონდა საუკეთესო შეიარაღება. კარგი ორგანიზების შემთხვევაში საქართველო გაიხანგრძლივებდა დამოუკიდებლობის პერიოდს, მაგრამ ისე დაეცა თბილისი, რომ მენშევიკურმა მთავრობამ არსენალი არ გახსნა და იარაღის

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

	უდიდესი ნაწილი არ გამოყენებულა
ვინ იყო ტაბახმელა-კოჯრის მიმართულების მთავარსარდალი?	გიორგი მაზნიაშვილი
დამარცხდნენ თუ არა იუნკერები ბრძოლაში?	რუსეთის არმიას შეებრძოლა 300-მდე იუნკერი, მაგრამ არ დამარცხდა

აქტივობა VII

მასწავლებელი აცნობს ბავშვებს, თუ როდის და როგორ დაიწერა კოლაუ ნადირაძის ცნობილი ლექსი „25 თებერვალი“

ლექსი დაიწერა 1963 წელს. როგორც თავად ავტორი გვიამბობს, ქართველი ინტელიგენტების მცირე ჯგუფს გადაუხდია პანაშვიდი ქაშუეთის ეკლესიაში იმ იუნკერების ხსოვნის საპატივსაცემოდ, რომლებიც დაეცნენ კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში 1921 წლის თებერვლში. სახლში დაბრუნებულ კოლაუს შემოსწოლია დარდი და დაუწერია ლექსი, რომლის შესახებაც თავად ოჯახის წევრებმაც არაფერი იცოდნენ. უკვე მხცოვან კოლაუს ახალგაზრდა ლიტერატორისა და გამომცემლისთვის, შალვა დემეტრაძისთვის, საიდუმლოდ გადაუცია ლექსი იმ იმედით, რომ ის მაინც მოესწრებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და სამხეოზე გამოიტანდა ლექსს.

მოხდა ისე, რომ კოლაუ ცოცხალი იყო, როცა გარდაიცვალა შალვა დემეტრაძე და მისი არქივი ჩაიბარა ლიტერატურის მუზეუმმა.

25 თებერვალი

კოლაუ ნადირაძე

თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი -
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგვიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდდა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს -
განგმირულ მკერდებს, დაღეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.

თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, -
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდოდა სიკვდილი ცელით!

თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

1969

შეკითხვა: რამ უბიძგა კოლაუ ნადირაძეს ლექსის დაწერისკენ?
(რამ მისცა ინსპირაცია პოეტს ლექსის დაწერისთვის?)

სავარაუდო პასუხი: 1921 წლის თებერვალში დაღუპული ქართველი იუნკრების მოგონებამ;

<https://www.youtube.com/watch?v=XS2tOH1Tph4>

მოსწავლეები წინასწარ მომზადებული კითხვების დახმარებით იხილავენ კოლაუ ნადირაძის ლექსს.

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

რა ურთიერთმიმართებას ხედავთ სიტყვებში: თეთრი და თალხი?	თეთრი და თალხი ანტონიმური წყვილია.
რას ემსახურება ამ ლექსიკური ერთეულების დაწვეილება?	თებერვლის სუსხიან დღეს, თოვლის, ანუ სითეთრის ფონზე კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა თალხში გახვეული თბილისი.
რის გამო გაეხვია თბილისი თალხში?	1921 წლის თებერვალში რუსეთის არმიამ დაამხო დამოუკიდებელი საქართველოს მენშევიკური მთავრობა
რა წარმოგვიდგინა ავტორმა ერთ მთლიანობაში?	ეკლესია და მრევლი “დუმდა სიონი და დუმდა ხალხი”
ხედავთ თუ არა განსხვავებას დუმდისა და სიხუმეს შორის და რისი გამოხატულება შეიძლება იყოს დუმილი?	დუმილი მეტყველი სიხუმეა და მისით ყველანაირი ემოციის გამოხატვაა შესაძლებელი: შიშის, უღონობის, პროტესტის
როგორ ახსნით ქალაქის “ძილღვიძრად” ყოფნას?	ძილღვიძილი ყოფნა–არყოფნის ზღვარია, “იყო და არა იყო რაა”, დიდი ემოციების ფონზე ერმა დაკარგა რეალობის შეგრძნება. ამ სიტყვით ავტორმა წარმოაჩინა თავზარდაცემული თბილისის მდგომარეობა, რომელსაც ამ უბედურების ჟამს თავის სიზმრად ჰგონია და ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულა.
რაზე მიგვანიშნებს ფრაზა: “საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი”?	1921 წლის 25 თებერვალი არ იყო ერთჯერადად თავსდამტყდარი უბედურება, პოეტმა განტყვეობა, რომ თებერვლის სუსხიანი დღე იქნებოდა მომავალ საშინებათა დასაწყისი?
ვინ გაიარა გოლგოთის გზა და რა ნიშნით დაუკავშირა ეს გზა ავტორმა საქართველოს?	გოლგოთას გზა ქრისტეს გზაა, კაცობიდან ღმერთობამდე გასავლელი, ყველაზე მტკივნეული, მძიმე და შეურაცხყოფელი. შწორედ ამ ნიშნით დაუკავშირა იგი ავტორმა საქართველოს.
რა ისტორიული კონტექსტის ამოკითხვა შეიძლება სიტყვებში: “დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა”,	მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა არ წაუგიათ კოჯორსა და ტაბახმელასთან მეგრძოლ იუნკრებს, 1921 წლის თებერვალში საქართველო დამარცხდა რუსეთთან ბრძოლაში.
რად მოიხსენიებს კოლაუ ნადირაძე სამშობლოსთვის დაღუპულ ვაჟკაცებს და ვისთან აიგივებს მათ?	ქართველ იუნკრებს არაგველებთან და კრწანისის ბრძოლაში დაღუპულ გმირებთან აიგივებს ავტორი
ვინ შემოუძღვა წითელ არმიან “მოღერილ ყელით”	წითელ არმიას წითელი დროშით შემოუძღვა თეთრ ცხენზე ამხედრებული

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

	ყელმოდერებული სერგო ორჯონიკიძე.
რა დაგკარგეთ დატრიალებული ტრაგედიის შედეგად?	დაგკარგეთ სოჭი, ღორე-სომხეთში, საინგილო – აზერბაიჯანში და ტაო-თურქეთში

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, თუ როგორ გამოეპარა საბჭოთა ცენზურას ლექსი და როგორ მოხდა ის საქართველოს გასაბჭოების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში.

წიგნის გაფორმების იდეა გოგი წერეთელს ეკუთვნოდა. მხატვარმა ლიტერატურის მუხეუმს წიგნისთვის კოლაუ ნადირაძის ხელნაწერი მოსთხოვა. როგორც მხატვარი კარლო ფაჩულია აღნიშნავს, ლექსი არავის წაუკითხავს, წაიკითხეს მხოლოდ სათაური „25 თებერვალი, 1921 წელი“ და ჩათვალეს, რომ ეს იქნებოდა დიტირამები, საბჭოთა საქართველოს სადიდებელი ოდა. რა ეწერა თაბახის ფურცელზე, არავის წაუკითხავს, მათ შორის არც გამომცემლებს. ლექსის ავტოგრაფი ცენზურასაც გაეპარა. წიგნი დაიბეჭდა. ერთ გვერდზე იყო ნაბეჭდი ლექსი, მეორეზე კი – ხელნაწერი, როგორც გაფორმების ელემენტი. ლექსის გამოქვეყნებას კრებულის შემდგენლების გათავისუფლების გარდა, მოჰყვა საგანგებო სხდომა მწერალთა კავშირში, რომელიც 1985 წლის 3 სექტემბერს გაიმართა. დიდი საშიშროების მიუხედავად, ლექსით ამაყობდა კოლაუ, ცხოვრების ბოლოს ხომ მაინც ჩავეციო კომუნისტებს მახვილი!

<https://www.youtube.com/watch?v=CAENhz9fl0g>

შემაჯამებელი კითხვები - რაზე მიგვანიშნებს ლექსის დაწერის თარიღი? მისი მოულოდნელი გამომზეურება 1985 წელს და რეაქცია, რომელიც მოჰყვა ლექსის დაბეჭდვას? რა იყო ასეთი მოუთმენელი კოლაუს ლექსში?

სავარაუდო პასუხი - განსხვავებული თვალსაზრისი, მოვლენის სხვაგვარად აღქმის მცდელობა საბჭოთა ხელისუფლებამ მოითხოვა უპირობო მორჩილება, უსწორდებოდნენ ყველას, ვისაც ჰქონდა განსხვავებული აზრი, განსაკუთრებით დაუპირისპირდნენ ეროვნულ სულისკვეთებას, თუმცა ქადაგებდნენ ყალბ პატრიოტიზმს.

თვითშეფასების სქემა

რა ვიცოდით?	რა გავიგე?	რა მინდა ვიცოდე?

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი, 1921 წელი“

მაია აფშილავა

--	--	--

გამოყენებული მედიარესურსები:

1. <https://www.youtube.com/watch?v=x6HLdBmrUGE&feature=youtu.be>
2. <https://www.youtube.com/watch?v=Cft6YAspYlc>
3. <https://www.youtube.com/watch?v=XS2tOH1Tph4>
4. <https://www.youtube.com/watch?v=CAENhz9fl0g>